

აფხაზეთის მშრომელთა პირველი ყრილობის რეზოლუცია აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარის მოადგილის ნ. ლაკობას მოხსენებაზე აფხაზეთში ეროვნული საკითხის შესახებ

28 მაისი 1921 წ.

1. მეფის მთავრობის მსგავსად რუსეთის ბურჟუაზიის – მილიუკოვ-კერენსკის მთავრობა აგრძელებდა ყოფილი რუსეთის იმპერიის ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრას.

2. მაგრამ, როდესაც რუსეთის ცენტრში ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა, გადასცა რა ხელისუფლება მუშებსა და გლეხებს, ბურჟუაზიამ დაიწყო გამაგრება პერიფერიებში, მოხერხებულად თამაშობდა რა საზღვრისპირა ხალხების ეროვნულ გრძნობებზე. ეროვნული მოძრაობის გამოყენებით ბურჟუაზია სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას და შექმნა რიგი პერიფერიული სახელმწიფოები, სრულებით დამოკიდებული მსოფლიო იმპერიალისტებზე (ანტანტაზე).

3. ჩაგრული ერების მუშებმა და გლეხებმა გაიგეს თავისი ინტერესები და პროლეტარული რუსეთის მხარდაჭერით შექმნეს მთელი რიგი ჭეშმარიტად დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები. შემდგომი ნაბიჯი იქნება ყველა ხალხების მუშათა და გლეხთა მასების მჭიდროვ კავშირი და გაერთიანება საბჭოთა ფედერაციაში. გამომდინარე აქედან აფხაზეთის მშრომელთა ყრილობა გამოხატავს მტკიცებებს ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა ყველაზე მჭიდრო კავშირისა და ძმობისადმი და უპირველესად კულტურულად, ეკონომიკური და გეოგრაფიული მდგომარეობით და ყოფით ყველაზე ახლობელ საბჭოთა საქართველოს მუშებსა და გლეხებთან.

გაუმარჯოს საქართველოსა და აფხაზეთის უახლოეს ყრილობას, რომელიც შექმნის ამჯგუფების ხალხთა მშრომელთა მჭიდრო კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მთელმ სოფლიოში!

(Укрепление Советской власти в Абхазии, Сборник документов и материалов (1921-1925 г. г.). Сухуми, 1957, стр. 48.საკუთარი თარგმანი)